გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 11

2025 წლის 13 იანვარი
ქალაქი გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის საგენტოს (ს/ნ 418471059) 2024 წლის ფინანსური ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის საგენტოს (ს/ნ 418471059) 2024 წლის ფინანსური ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის საგენტოს (ს/ნ 418471059) 2024 წლის ფინანსური ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 7 ფურცელი).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის ფინანსური მდგომარეობის შესახებ

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს შემადგენლობაში შედის: შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა, გორის რაიონში არსებული სხვადასხვა სპორტული სექციებით, გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სკოლა, ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებული სკოლა, ნუგზარ სხირელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის სკოლა, გიორგი კანდელაკის სახელობის სოფელ ვარიანის კრივის სკოლა, ძიუდოს კლუბი „Golden Gori" და თავისუფალი ჭიდაობის კლუბი „F.W.Skhireli club". სავარჯიშო-საწვრთნელი საქმიანობა მიმდინარეობს სპორტის შემდეგ სახეობებში:

1.კალათბურთი;
2. ხელბურთი;
3. ფრენბურთი;
4. ტანვარჯიში;
5. ჩოგბურთი;
6. ძალოსნობა;
7. მძლეოსნობა;
8. რაგბი;
9. კარატე-დო;
10. ტაეკვანდო;
11. კიკ-ბოქსინგი;
12. კრივი;
13. ქართული საბრძოლო ხელოვნება;
14. მეკლდეურობა;
15. თავისუფალი ჭიდაობა;
16. ქართული ჭიდაობა;
17. ძიუდო;
18.ჭადრაკი;
19. მკლავჭიდი;
20. სამბო;
21. მაგიდის ჩოგბურთი.

სავარჯიშო-საწვრთნელ საქმიანობას უძღვება **117** მწვრთნელ-მასწავლებელი

სპორტული სკოლის დასახელება	მწვრთნელ-მასწავლ. (ინსტრუქტ.) რაო-ბა:	მ.შ ქალი
შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა	82	11
ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებული სკოლა	8	0
გიორგი კანდელაკის სახელობის ვარიანის კრივის სკოლა	7	0
ნუგზარ სხირელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის სკოლა	6	0
გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სკოლა	11	1
ძიუდოს კლუბი „Golden Gori”	1	0
თავისუფალი ჭიდაობის კლუბი „F.W.Skhireli club”	2	0
სულ:	***117***	***12***

სააგენტოს 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 3 125400ლარს, საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემდეგი მუხლების მიხედვით:

დასახელება	2024 წლის გეგმა
შრომის ანაზღაურება	355738
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	1853846,84
მივლინება	59738
ოფისის ხარჯი	214398,28
წარმომადგენლობითი ხარჯი	67500
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი	3200
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	95086,84
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა	143726
სოციალური უზრუნველყოფა	6937
სხვა ხარჯი (მ.შ. გასვლითი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება)	316249
არაფინანსური აქტივები	8980

2024 წლის გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სააგენტოს 2024 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით საკასო ხარჯმა შედგინა 2 937519,15 ლარი, იმავე პერიოდის მუხლობრივად გაწეული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	2024 წლის გეგმა
შრომის ანაზღაურება	333809,53
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	1747933,54
მივლინება	58857,95
ოფისის ხარჯი	205992,65
წარმომადგენლობითი ხარჯი	66430,55
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი	3134
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	72321,29
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა	143091,35
სოციალური უზრუნველყოფა	6936,26
სხვა ხარჯი (გასვლითი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება)	290032,03
არაფინანსური აქტივები	8980

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს მიერ განხორციელებული შიდა სპორტული შეჯიბრებები და აქტივობები 2024 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით

1. 25 იანვარს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის იოსებ დურგლიშვილის მემორიალური ტურნირი მკლავჭიდში , ღონისძიბისათვის გაიხარჯა – 748.8 ლარი.
2. მ/წლის 2 – 4 თებერვალს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა ცოტნე ბარამიძის I მემორიალური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, ღონისძბისათვის გაიხარჯა – 12 513.9 ლარი.
3. 26 – 28 თებერვალს გორის სპორტის სასახლეში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში 23 წლამდელთა შორის, ღონისძიბისათვის გაიხარჯა – 13 105.05 ლარი.
4. 1 მარტს გორის კრივის სკოლაში ჩატარდა ღია რინგი მოსწავლე–მოკრივეთა შორის, ღონისძიბისათვის გაიხარჯა – 9 ლარი.
5. 8 – 12 მარტს ქ. გორში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გიორგი კარელიძის საერთაშორისო მემორიალური ტურნირი ჭაბუკ მოკრივეთა შორის, ღონისძიბისათვის გაიხარჯა – 3833.63 ლარი.
6. 17 მარტს ქ. გორში ჩატარდა საქალაქთაშორისო ტურნირი კიკ–ბოქსინგში, ღონისძიბისათვის გაიხარჯა – 30 ლარი.
7. მ/წლის 18 – 22 მარტს გორის სპორტის სასახლეში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში 15 წლამდელთა შორის, ღონისძიბისათვის გაიხარჯა – 14 000 ლარი.
8. 18 – 22 მარტს გორის სპორტის სასახლეში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კარტეში “ Open Gori” , ღონისძიბისათვის გაიხარჯა – 8065.2 ლარი.
9. 10 აპრილს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპონის კრივში გიორგი კანდელაკის 50 წლის იუბულესთან დაკავშირბული ღონისძება, , ღონისძიბისათვის გაიხარჯა – 230 ლარი.
10. 15 აპრილს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ძიუდოს ერთ–ერთი ფუძემდებლის გურამ პაპიტაშვილის 90 წლის იუბულესთან დაკავშირებული ღონისძება, ღონისძიბისათვის გაიხარჯა – 120 ლარი.
11. 21 -22 აპრილს საქართველოს პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში 15 წლამდელთა შორის დავით ქარელის გამარჯვებასთან დაკავშირებით მოხდა ბეჭვდითი მომსახურეობის შესყიდვა, გაიხარჯა – 60 ლარი.
12. 24 აპრილს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა „Judo Kids” - ის მოსამზადებელი ეტაპის გამოცდა ძიუდოში, გაიხარჯა – 21 ლარი.
13. 18–19 მაისს გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა სკოლის პირველობა ძიუდოში უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის, ღონისძიბისათვის გაიხარჯა – 290.4 ლარი.

14. დაკავებისათვის 26 მაისს ნ.სხირელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის სკოლას და შ. ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლას გადაეცათ მადლობის სიგელები, გაიხარჯა – 100 ლარი.
15. 24 – 26 მაისს ქ. გორში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნუგზარ სხირელის საერთაშორისო მემორიალური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 20 წლამდელთა შორის, გაიხარჯა – 41 541 ლარი.
16. 15 ივნისს გიორგი კანდელაკის სახელობის ვარიანის კრივის სკოლაში ჩატარდა ღია რინგი მოსწავლე – მოკრივეთა შორის, ღონისძიბისათვის გაიხარჯა – 15 ლარი.
17. 16 ივნისს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა სკოლის პირველობა ტაეკვონდოში, ღონისძიბისათვის გაიხარჯა – 24 ლარი.
18. 12 – 13 ივლისს გორის რაიონ სოფელ მეღვრეკისში ჩატარდა შეჯიბრება ძალოსნობაში – „რეკორდების დღე“, ღონისძიბისათვის გაიხარჯა – 948.5 ლარი.
19. 3 – 9 სექტემბერს გორის სპორტის სასახლეში ჩატარდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის გიორგი კანდელაკის სახელობის XIV საერთაშორისო ტურნირი კრივში უფროსი ასაკის მოკრივეთა შორის, ღონისძიბისათვის გაიხარჯა – 35 442.2 ლარი.
20. 7 ოქტომბერს ქ. გორში შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა მიხეილ მურაჩაშვილის მემორიალური ტურნირი ძიუდოში, ღონისძიბისათვის გაიხარჯა – 145.2 ლარი.
21. 12–13 ოქტომბერს ქ. გორში შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა მურად ჯავახიშვილის მემორიალური ტურნირი ხელბურთში, ღონისძიბისათვის გაიხარჯა – 511.6 ლარი.
22. 7 ნოემბერს ქ. გორში შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა სკოლის პირველობა ძიუდოში, ღონისძიბისათვის გაიხარჯა – 12 ლარი.
23. მ/წელს ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით დაიბეჭდა ბანერები ოლიმპიადაზე მონაწილე გორელი სპორტსმენების გამოსახულებით, გაიხარჯა – 1288 ლარი.
24. 15 – 17 ნოემბერს ქ. გორში ჩატარდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ახალგაზრდებს შორის თავისუფალ ჭიდაობაში გიორგი ხინჩეგაშვილის მემორიალური ტურნირი, ღონისძიბისათვის გაიხარჯა – 23 646.26 ლარი.
25. 4 დეკემბერს გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა სკოლის პირველობა ძიუდოში უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის, ღონისძიბისათვის გაიხარჯა – 24 ლარი.

გასვლითი ღონისძიებები

წარმოგიდგენთ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს მიერ გასვლით ღონისძიებში გახარჯულ თანხებს და ღონისძიებათა რაოდენობას სპორტული სკოლებისა და სექციების მიხედვით:

ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებულმა სკოლამ 2024 წელს მიიღო 14 ღონისძიებაში მონაწილეობა , რისთვისაც გაიხარჯა 32 825 ლარი;

გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსურმა სკოლამ მიიღო 35 შეჯიბრებაში მონაწილეობა, რისთვისაც გაიხარჯა 25 120 ლარი;

სოფელ ვარიანის გიორგი კანდელაკის სახელობის კრივის სკოლა მონაწილეობდა 10 სპორტულ ღონისძიებაში და გაიხარჯა 15 625 ლარი;

ნუგზარ სხირელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის სპეციალიზირებული სკოლის მოჭიდავეთა გუნდმა მიმდინარე წელს მიიღო 13 შეჯიბრებაში მონაწილეობა, გაიხარჯა 17 950 ლარი;

შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ცენტრალური სპორტული სკოლის სხვადასხვა სექციებმა მიმდინარე წელს ჯამში მიიღეს 147 სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობა, რისთვისაც გაიხარჯა 112 370. 4 ლარი: წარომოგიდგენთ სპორტული სექციების მიხედვით გახარჯულ თანხებს: თავისუფალი სტილით ჭიდაობა – 21 790 ლარი; ძიუდო – 10240 ლარი; ფრენბურთი – 14880 ლარი; ხელბურთი ვაჟები – 10461.46 ლარი; ხელბურთი გოგონები – 8390 ლარი; კიკ–ბოქსინგი – 9578.901 ლარი; კალათბურთი – 3585 ლარი, რაგბი – 4085 ლარი, ძალოსნობა – 5980 ლარი; მკლავჭიდი – 1395 ლარი; კარატე–დო – 7725 ლარი; ტანვარჯიში – 1260 ლარი; ჭადრაკი – 5995 ლარი; ტაეკვონდო – 5745 ლარი; ჩოგბურთი – 1260 ლარი.

საერთაშორისო ტურნირები

ჭაბუკთა ევროპის თასი, ძიუდო , იტალია- 8-13 თებერვალი- 4537ლარი,
კადეტთა ევროპის თასი, ძიუდო, სლოვაკეთი, 21-25 მარტი- 4165ლარი
კადეტთა ევროპის თასი, ძიუდო, ჩეხეთი, 4-8 აპრილი - 5154 ლარი;
ევროპის ჩემპიონატი ვეტერანთა შორის ძიუდო , ბოსნია- ჰერცოგოვინა, სარაევო, 6-10ივნისი - 3302ლარი;
კადეტთა ევროპის თასი, ძიუდო, უნგრეთი, 13-14 ივლისი- 16908ლარი,
ჩემპიონთა ლიგა, საფრანგეთი, ძიუდო, 19-22 დეკემბერი -61476 ლარი;

თანხების ხარჯვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად და გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით.